		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		
		პროცენტი		
		სუბსიდიები		
		გრანტები		

		სოციალური უზრუნველყოფა		
		სხვა ხარჯები		
7082		არაფინანსური აქტივების ზრდა		
		ფინანსური აქტივების ზრდა		
		ვალდებულებების კლება		
	07 08	მუსიკალური კოლექტივები	0,0	0,0
		მომუშავეთა რიცხოვნობა		
7082		ხარჯები	0,0	0,0
		შრომის ანაზღაურება		
		საქონელი და მომსახურება	0,0	0,0
		შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		
		მივლინებები		
		ოფისის ხარჯები		
		წარმომადგენლობითი ხარჯები		
		კვების ხარჯები		
		სამედიცინო ხარჯები		
		რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები		
		ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები		
		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		
		პროცენტი		
		სუბსიდიები		
		გრანტები		
		სოციალური უზრუნველყოფა		
		სხვა ხარჯები		
7082		არაფინანსური აქტივების ზრდა		
		ფინანსური აქტივების ზრდა		
		ვალდებულებების კლება		
	07 09	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	38,9	36,7
		მომუშავეთა რიცხოვნობა		
7083		ხარჯები	38,9	36,7
		შრომის ანაზღაურება		
		საქონელი და მომსახურება	0,0	0,0
		შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		
		მივლინებები		
		ოფისის ხარჯები		
		წარმომადგენლობითი ხარჯები		
		კვების ხარჯები		
		სამედიცინო ხარჯები		
		რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები		
		ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები		
		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		
		პროცენტი		
		სუბსიდიები	38,9	36,7
		გრანტები		
		სოციალური უზრუნველყოფა		
		სხვა ხარჯები		

7083		არაფინანსური აქტივების ზრდა		
		ფინანსური აქტივების ზრდა		
		ვალდებულებების კლება		
	07 10	ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის დაფინანსება	15,2	10,5
		მომუშავეთა რიცხოვნობა		
		ხარჯები	15,2	10,5
		შრომის ანაზღაურება		
		საქონელი და მომსახურება	15,2	10,5
		შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		
		მივლინებები		
		ოფისის ხარჯები		
		წარმომადგენლობითი ხარჯები		
		კვების ხარჯები		
		სამედიცინო ხარჯები		
		რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები		
		ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები		
		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	15,2	10,5
		პროცენტი		
		სუბსიდიები		
		გრანტები		
		სოციალური უზრუნველყოფა		
		სხვა ხარჯები		
		არაფინანსური აქტივების ზრდა		
		ფინანსური აქტივების ზრდა		
		ვალდებულებების კლება		
	08 00	სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები	414,7	383,5
		მომუშავეთა რიცხოვნობა	0,0	0,0
		ხარჯები	414,7	383,5
		შრომის ანაზღაურება	0,0	0,0
		საქონელი და მომსახურება	0,0	0,0
		შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	0,0	0,0
		მივლინებები	0,0	0,0
		ოფისის ხარჯები	0,0	0,0
		წარმომადგენლობითი ხარჯები	0,0	0,0
		კვების ხარჯები	0,0	0,0
		სამედიცინო ხარჯები	0,0	0,0
		რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	0,0	0,0
		ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	0,0	0,0
		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	0,0	0,0
		პროცენტი	0,0	0,0
		სუბსიდიები	116,5	123,5
		გრანტები	0,0	0,0
		სოციალური უზრუნველყოფა	298,2	260,0
		სხვა ხარჯები	0,0	0,0
		არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0
		ფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0

		ვალდებულებების კლება	0,0	0,0
	08 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	116,5	123,5
		მომუშავეთა რიცხოვნობა		
7074		ხარჯები	116,5	123,5
		შრომის ანაზღაურება		
		საქონელი და მომსახურება	0,0	0,0
		შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		
		მივლინებები		
		ოფისის ხარჯები		
		წარმომადგენლობითი ხარჯები		
		კვების ხარჯები		
		სამედიცინო ხარჯები		
		რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები		
		ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები		
		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		
		პროცენტი		
		სუბსიდიები	116,5	123,5
		გრანტები		
		სოციალური უზრუნველყოფა		
		სხვა ხარჯები		
7074		არაფინანსური აქტივების ზრდა		
		ფინანსური აქტივების ზრდა		
		ვალდებულებების კლება		
	08 02	უფასო სასაბიჯო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურების დაფინანსება	76,3	81,2
		მომუშავეთა რიცხოვნობა		
7102		ხარჯები	76,3	81,2
		შრომის ანაზღაურება		
		საქონელი და მომსახურება	0,0	0,0
		შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		
		მივლინებები		
		ოფისის ხარჯები		
		წარმომადგენლობითი ხარჯები		
		კვების ხარჯები		
		სამედიცინო ხარჯები		
		რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები		
		ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები		
		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		0,0
		პროცენტი		
		სუბსიდიები		
		გრანტები		
		სოციალური უზრუნველყოფა	76,3	81,2
		სხვა ხარჯები		
7102		არაფინანსური აქტივების ზრდა		
		ფინანსური აქტივების ზრდა		

		ვალდებულებების კლება		
	08 04	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	8,0	8,0
		მომუშავეთა რიცხოვნობა		
7103		ხარჯები	8,0	8,0
		შრომის ანაზღაურება		
		საქონელი და მომსახურება	0,0	0,0
		შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		
		მივლინებები		
		ოფისის ხარჯები		
		წარმომადგენლობითი ხარჯები		
		კვების ხარჯები		
		სამედიცინო ხარჯები		
		რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები		
		ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები		
		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		
		პროცენტი		
		სუბსიდიები		
		გრანტები		
		სოციალური უზრუნველყოფა	8,0	8,0
		სხვა ხარჯები		
7103		არაფინანსური აქტივების ზრდა		
		ფინანსური აქტივების ზრდა		
		ვალდებულებების კლება		
	08 05	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	60,0	62,0
		მომუშავეთა რიცხოვნობა		
71011		ხარჯები	60,0	62,0
		შრომის ანაზღაურება		
		საქონელი და მომსახურება	0,0	0,0
		შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		
		მივლინებები		
		ოფისის ხარჯები		
		წარმომადგენლობითი ხარჯები		
		კვების ხარჯები		
		სამედიცინო ხარჯები		
		რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები		
		ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები		
		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		
		პროცენტი		
		სუბსიდიები		
		გრანტები		
		სოციალური უზრუნველყოფა	60,0	62,0
		სხვა ხარჯები		
71011		არაფინანსური აქტივების ზრდა		
		ფინანსური აქტივების ზრდა		
		ვალდებულებების კლება		
	08 06	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	153,9	108,8
		მომუშავეთა რიცხოვნობა		

7104		ხარჯები	153,9	108,8
		შრომის ანაზღაურება		
		საქონელი და მომსახურება	0,0	0,0
		შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		
		მივლინებები		
		ოფისის ხარჯები		
		წარმომადგენლობითი ხარჯები		
		კვების ხარჯები		
		სამედიცინო ხარჯები		
		რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები		
		ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები		
		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		
		პროცენტი		
		სუბსიდიები		
		გრანტები		
		სოციალური უზრუნველყოფა	153,9	108,8
		სხვა ხარჯები		
7104		არაფინანსური აქტივების ზრდა		
		ფინანსური აქტივების ზრდა		
		ვალდებულებების კლება		
	08 07	სოციალური სხვა	0,0	0,0
		მომუშავეთა რიცხოვნობა		
7109		ხარჯები	0,0	0,0
		შრომის ანაზღაურება		
		საქონელი და მომსახურება	0,0	0,0
		შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		
		მივლინებები		
		ოფისის ხარჯები		
		წარმომადგენლობითი ხარჯები		
		კვების ხარჯები		
		სამედიცინო ხარჯები		
		რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები		
		ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები		
		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		
		პროცენტი		
		სუბსიდიები		
		გრანტები		
		სოციალური უზრუნველყოფა		
		სხვა ხარჯები		
7109		არაფინანსური აქტივების ზრდა		
		ფინანსური აქტივების ზრდა		
		ვალდებულებების კლება		
	08 08	სხვა ჯანდაცვის სხვა	0,0	0,0
		მომუშავეთა რიცხოვნობა		
7076		ხარჯები	0,0	0,0
		შრომის ანაზღაურება		
		საქონელი და მომსახურება	0,0	0,0

		შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		
		მივლინებები		
		ოფისის ხარჯები		
		წარმომადგენლობითი ხარჯები		
		კვების ხარჯები		
		სამედიცინო ხარჯები		
		რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები		
		ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები		
		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		
		პროცენტი		
		სუბსიდიები		
		გრანტები		
		სოციალური უზრუნველყოფა		
		სხვა ხარჯები		
7076		არაფინანსური აქტივების ზრდა		
		ფინანსური აქტივების ზრდა		
		ვალდებულებების კლება		

თ) დადგენილების დანართი N5 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 5

ხოზის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის
ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2009 წლის გეგმა	2010 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 623,5	1 436,2
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 573,9	1 424,2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 477,4	1 329,2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	96,5	95,0
70113	საგარეო ურთიერთობები		
7012	საგარეო ეკონომიკური დახმარება	0,0	0,0
70121	ეკონომიკური დახმარება განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს		
70122	საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება		
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	29,6	0,0
70131	საერთო საკადრო მომსახურება		
70132	საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება		
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	29,6	0,0
7014	ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები		
7015	გამოყენებითი კვლევები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში		
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	0,0
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის		
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	20,0	12,0
702	თავდაცვა	83,0	88,5
7021	შეიარაღებული ძალები	83,0	88,5
7022	სამოქალაქო თავდაცვა	0,0	0,0
7023	საგარეო სამხედრო დახმარება		
7024	გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში		
7025	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	0,0	0,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	356,1	281,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	122,9	50,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	233,2	231,0
7033	სასამართლოები და პროკურატურა		
7034	სასჯელაღსრულების დაწესებულებები		
7035	გამოყენებითი კვლევები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში		
7036	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში		

704	ეკონომიკური საქმიანობა	1 784,7	1 520,6
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0,0	0,0
70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა		
70412	შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა		
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	765,4	918,5
70421	სოფლის მეურნეობა	765,4	918,5
70422	სატყეო მეურნეობა		
70423	მეთევზეობა და მონადირეობა		
7043	სათბობი და ენერგეტიკა	0,0	0,0
70431	ნახშირი და სხვა სახის მყარი მინერალური საწვავი		
70432	ნავთობი და ბუნებრივი აირი		
70433	ბირთვული საწვავი		
70434	სხვა სახის საწვავი		
70435	ელექტროენერგეტიკა		
70436	არაელექტრული (მზის, ქარის, წყლის) ენერჯია		
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	0,0	0,0
70441	მინერალური რესურსების მოპოვება, მინერალური საწვავის გარდა		
70442	გადამამუშავებელი მრეწველობა		
70443	მშენებლობა		
7045	ტრანსპორტი	1 019,3	602,1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 019,3	602,1
70452	საზღვაო ტრანსპორტი		
70453	სარკინიგზო ტრანსპორტი		
70454	საჰაერო ტრანსპორტი		
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0,0	0,0
7046	კავშირგაბმულობა		
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	0,0	0,0
70471	ვაჭრობა, მარაგების შექმნა, შენახვა და დასაწყობება		
70472	სასტუმროები და რესტორნები		
70473	ტურიზმი		
70474	მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები		
7048	გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში	0,0	0,0
70481	გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში		
70482	გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და მონადირეობაში		
70483	გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერგეტიკაში		
70484	გამოყენებითი კვლევები სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში		
70485	გამოყენებითი კვლევები ტრანსპორტის სფეროში		
70486	გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში		
70487	გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში		
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში		
705	გარემოს დაცვა	281,7	571,4
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამამუშავება და განადგურება	243,8	265,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	37,9	306,4

7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა		
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა		
7055	გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში		
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში		
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	442,7	1 657,7
7061	ბინათმშენებლობა	0,0	0,0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება		469,7
7063	წყალმომარაგება	228,7	642,0
7064	გარე განათება	214,0	546,0
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში		
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში		
707	ჯანმრთელობის დაცვა	116,5	123,5
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები		
70711	ფარმაცევტული პროდუქცია		
70712	სხვა სამედიცინო პროდუქცია		
70713	თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები		
7072	ამბულატორიული მომსახურება	0,0	0,0
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება		
70722	სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება		
70723	სტომატოლოგიური მომსახურება		
70724	საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება		
7073	საავადმყოფოების მომსახურება	0,0	0,0
70731	ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება		
70732	სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება		
70733	სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება		
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება		
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	116,5	123,5
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში		
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,0	0,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	716,2	939,5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	99,8	314,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	569,5	571,3
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	38,9	36,7
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	8,0	7,0
7085	გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში		10,5
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში		
709	განათლება	1 549,7	1 567,6
7091	სკოლამდელი აღზრდა	898,8	1 159,7
7092	ზოგადი განათლება	650,9	116,9
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება		
70922	საბაზო ზოგადი განათლება		
70923	საშუალო ზოგადი განათლება		
7093	პროფესიული განათლება		
7094	უმაღლესი განათლება	0,0	0,0
70941	უმაღლესი პროფესიული განათლება		
70942	უმაღლესი აკადემიური განათლება		

7095	უმაღლესისშემდგომი განათლება		
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება		
7097	გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში		
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში		291,0
710	სოციალური დაცვა	298,2	260,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	60,0	62,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	60,0	62,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა		
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	76,3	81,2
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	8,0	8,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	153,9	108,8
7105	უმუშევართა სოციალური დაცვა		
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა		
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას		
7108	გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში		
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	0,0	0,0
	სულ	7 252,3	8 446,0

6. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N140

ქ. ხობი

2010 წლის 25 თებერვალი

**ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის
დადგენის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18¹ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 ოქტომბრის N603 ბრძანებულების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დადგინდეს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი თანახმად დანართისა.

2. დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 26 თებერვლის N115 დადგენილება „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“.

3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

1. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში - „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K, \text{ სადა:}$$

- ა) C_N - არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;
- ბ) I_{MG} - არის ქ. ხობის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც შეადგენს 0,43-ს;
- გ) I_{TL} - არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1-ს;
- დ) C - არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზრო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.
- ე) K - არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 120-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით ქ. ხობში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
0,43	1	0,24	120	12.38

3. ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხობში დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს - 3.71 ლარს.

4. ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხობში დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და შეადგენს - 3.1 ლარს.

5. ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებათა არეალებში გამავალი „საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 15 სექტემბრის N554 ბრძანებულებით განსაზღვრულ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხობში დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 6.19 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული წესი.

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N141

ქ. ხობი

2010 წლის 25 თებერვალი

ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია თანახმად N1 დანართისა.
2. დამტკიცდეს დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისა და იურიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა თანახმად N2 დანართისა.
3. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ქვითრის ნიმუში თანახმად N3 დანართისა,
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციისა და მოსაკრებლის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 19 სექტემბრის N63 დადგენილება,
5. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

ხოზის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1. ხოზის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია (შემდგომში - ინსტრუქცია) შემუშავებულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და აწესრიგებს ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახვეწინებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსაკრებლის განაკვეთების დაწესებისა და გადახდის წესს, მოსაკრებლის გადამხდელთა უფლება-მოვალეობებს.

2. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი (შემდგომში - მოსაკრებელი) წარმოადგენს ხოზის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გაწეული მომსახურების საფასურს.

3. ნარჩენების წარმომქმნელი ვალდებულია მოსაკრებელი გადაიხადოს დადგენილ ვადებში.

4. მოსაკრებლის გადაუხდელობა, გადახდის ვადების დარღვევა ითვლება დასუფთავების წესების დარღვევად და დამღრვევის მიმართ გამოყენებული იქნება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნორმები.

5. ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურის მიერ მოსაკრებლის ამოსაღებად იურიდიულ პირებთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში მოსაკრებელი გადაიხდება ამ ინსტრუქციის მიხედვით.

მუხლი 2. მოსაკრებლის გადამხდელი

1. მოსაკრებლის გადამხდელია ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელი ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი.

მუხლი 3. მოსაკრებლის განაკვეთი, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი.

1. მოსაკრებლის განაკვეთი, როგორც წესი, დგინდება ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ტერიტორიის დასუფთავებისათვის კალენდარული წლისათვის საჭირო ხარჯების შესაბამისად.

2. მოსაკრებელი გაიანგარიშება მოსახლეობისათვის - სულადობის მიხედვით, ორგანიზაციების, დაწესებულებისა და იურიდიული პირებისათვის - დაგროვებული ნარჩენების წონის, მოცულობის ან/და ნარჩენების დაგროვების ნორმის, ნარჩენების სახეობის მიხედვით, აგრეთვე, ნარჩენების წარმომქმნელის შემოსავლის, ქონების, დაკავებული ფართობის, დასაქმებული პერსონალის რაოდენობის, საქონლის (მომსახურების) მომხმარებელთა რაოდენობის, მიღებული სხვა საბინაო-კომუნალური მომსახურების მოცულობის (ღირებულების) და ა.შ. მიხედვით. მოსაკრებლის ოდენობის დადგენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ სიდიდეების კომბინაციებიც.

3. ხოზის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი (შემდეგში ქვითარი) გამოიწერება იმ უძრავი ქონების მესაკუთრეზე (შემდეგში - მესაკუთრე), რომლის საკუთრებაშიც წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები.

4. მოსაკრებლის გადამხდელი მოსახლე მოსაკრებელს იხდის მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

5. ამხანაგობის შემთხვევაში, ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობისას, შესაძლებელია მოსაკრებლის გადახდის ქვითარი გამოიწეროს ამხანაგობის სახელზე. ამ შემთხვევაში ამხანაგობა

წერილობით მიმართვას მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ პირს წარუდგენს ყველ მესაკუთრის თანხმობის დამადასტურებელ საბუთს.

6. მოსაკრებელი შეიძლება გადახდილი იქნეს ქვითარში დაფიქსირებული ნებისმიერი გადამხდელის ან მისი წარმომდგენი სხვა პირის მიერ.

7. ქვითარი შენახული უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში. ქვითარის დაკარგვისას, მის აღდგენას დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ახდენს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

8. მესაკუთრე ფიზიკური პირი (გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა), რომლის საკუთრებაშიც წარმოიქმნება ნარჩენი, ვალდებულია წარმომქმნელთა რაოდენობის ცვლილებების შესახებ 30 კალენდარული დღის განმავლობაში აცნობოს მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ სამსახურს ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირს.

9. ნარჩენების წარმომქმნელი მაცხოვრებლის რაოდენობის შეცვლის შემთხვევაში მიმდინარე თვის მოსაკრებელი ივარება ცვლილებების გაუთვალისწინებლად.

10. მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში ყოფილმა მესაკუთრემ მოსაკრებლის მიმდინარე დავალიანება უნდა დაფაროს იმ თვის ბოლომდე, რომელშიც მოხდა საკუთრების გადაცემა.

11. თუკი წინასწარ გადახდილი თანხა, რომელიც შეტანილი იყო მოსაკრებლის ახალი განაკვეთის ძალაში შესვლისას უფრო მცირეა, ვიდრე გადახდის დღის დადგომის შემდეგ, გადახდილი თანხა, რომელიც შეტანილი იყო ახალი განაკვეთის ძალაში შესვლამდე, აღემატება ახალ ამოქმედებულ განაკვეთს, სხვაობა ახალი განაკვეთის ამოქმედების შემდეგ უნდა გამოაკლდეს ახალი განაკვეთის თანხას.

მუხლი 4. მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების წარმოქმნა, შეცვლა და მისგან განთავისუფლება.

1. მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება მოსახლეობისთვის მომსახურების ერთი თვის განმავლობაში მიღების შემთხვევაში. ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და იურიდიული პირებისათვის - მომსახურების მიღებისთანავე.

2. მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან განთავისუფლებულია ის მოსახლე, რომელიც ცხოვრობს სასტუმროს ტიპის საცხოვრებელში, იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი თვითონ სარგებლობს ოპერატორის მომსახურებით.

3. მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წყდება ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის შეწყვეტის შემდეგ თვის დასრულებასთან ერთად.

4. არ დაერიცხება დასუფთავების მოსაკრებელი საწარმოო ობიექტებისა და ორგანიზაციების შენობა-ნაგებობების ფართს ან მათ ნაწილს, ღია ტერიტორიების ფართს ან მათ ნაწილს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ ფუნქციონირებს, გამოუყენებელია და არ წარმოიქმნება ნარჩენი.

5. ნარჩენების წარმომქმნელის მიერ ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის ადგილის შეცვლის შემთხვევაში მოსაკრებელი გადაიხდება ნარჩენების წარმოქმნის იმ ადგილის მიხედვით, სადაც მიიღო მომსახურების 50 პროცენტზე მეტი.

6. მოსაკრებლის გადამხდელ ფიზიკურ პირს (მეწარმე ფიზიკური პირის გარდა) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ერთ თვეზე მეტი ვადით გასვლის შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს მოსაკრებლის შესაბამისი ოდენობით შემცირება, რისთვისაც იგი წინასწარ წერილობით მიმართავს მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ სამსახურს ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირს. წერილობით მიმართვაში დაფიქსირებული უნდა იყოს მოსახლის ქალაქში არ ყოფნის ვადა. ამ ვადის ცვლილების შემთხვევაში მოსაკრებლის გადამხდელი ვალდებულია აცნობოს აღნიშნულ სამსახურს ამ ცვლილების შესახებ.

მუხლი 5. მოსაკრებლის გადახდის პერიოდულობა და ვადები

1. მოსაკრებლის გადახდა წარმოებს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

2. მოსაკრებელი გადაიხდევინება თვეში ერთხელ, თვის ბოლო კალენდარული დღის მეორე დღიდან 20 დღის განმავლობაში.

3. გადამხდელს შეუძლია მოსაკრებელი გადაიხადოს წინასწარ.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა მოსაკრებლის გადახდევინებისათვის

მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება უფლებამოსილ ადგილობრივ თვითმმართველობის შესაბამის სამსახურს ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირს.

მუხლი 7. ინსტრუქციის მიღება და მასში ცვლილებების შეტანა

1. ინსტრუქციას ამტკიცებს საკრებულო.
2. ინსტრუქციაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისა და იურიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის ოდენობა

N	სამეწარმეო საქმიანობა	ზომის ერთეული	ნარჩენების თვიური დაგროვება ნორმა მ ³	მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე 12 თვე X 12 ლარი - (1მ ³ ნარჩენის გატანის მომსახურების ღირებულება) ლარი
1	2	3	4	5
1	მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1მ ²	0,022	0,264
2	ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები, ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1მ ²	0,22	0,264
3	კინოთეატრები და თეატრები	მაყურებლის ერთი სავარძელი	0,018	0,216
4	სკოლები, ინსტიტუტები, კოლეჯები, საბავშვო ბაგა-ბაღები, საგანმანათლებლო დაწესებულებები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთ მოსწავლელზე	0,02	0,24
5	სასტუმროები (ინფრასტრუქტურის ფართზე შიდა მომსახურებისათვის მოსაკრებელი არ დაერიცხება)	მომსახურების ერთეული (ერთი საწოლი)	0,14	1,68
6	საავადმყოფოები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთი საწოლი	0,096	1,152
7	პოლიკლინიკები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები, ექიმებისა და სტომატოლოგიური კაბინეტები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1მ ²	0,022	0,264
8	სტადიონები, სპორტულ გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ღია ტერიტორიები და მანქები (სატურნირო და სავარჯიშო მოედნების გარდა)	ღია ფართის 1მ ²	0,002	0,024
		დახურული ფართის 1მ ²	0,01	0,12
9	სასურსათო საქონლის მაღაზიები (სავაჭრო დარბაზი)	საერთო ფართის 1მ ²	0,063	0,048
10	სამრეწველო საქონლის მაღაზიები და აფთიაქები (სავაჭრო დარბაზი)	საერთო ფართის 1მ ²	0,021	0,252
11	აგრარული ბაზრები, ყვავილების ღია და დახურული მაღაზიები	საერთო ფართის 1მ ²	0,025	0,30
12	შერეული საქონლის ბაზრობები	საერთო ფართის 1მ ²	0,02	0,24
13	ავტოსადგომები და საწყობები პირდაპირი მიყიდვის გარეშე (გარდა საცაგებისა პროდუქციის ხანგრძლივი შენახვის დროით)	ღია ფართის 1მ ²	0,022	0,264
14	ავტოგასამართი სადგურები	საერთო ფართის 1მ ²	0,01	0,12

1	2	3	4	5
15	ა/მანქანების სარემონტო სადგურები, რეკ. მომსახურების ადგილები	ღია საერთო ფართი 1მ ²	0,002	0,024
		დახურული საერთო ფართის 1მ ²	0,01	0,12
16	აბანოები, საუნები,	დახურული საერთო ფართის 1მ ²	0,006	0.072
17	სადალაქოები და სილამაზის სალონები	საერთო ფართის 1მ ²	0,03	0.35
18	მცირე სამეწარმეო საქმიანობა შენობის შიგნით მიმდინარე წარმოებისას საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები	საერთო ფართის 1მ ²	0,02	0.24
19	რესტორნები, პიცერიები, სასადილოები, კაფეები და ბარები	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0,12	2.40
20	საბანკეტო დარბაზები, სარიტუალო მომსახურებისათვის	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0,08	0.96
21	საცხოვები	საერთო ფართის 1მ ²	0,02	0.24
22	დისკოთეკები, ღამის კლუბები, კაზინოები, ტოტალიზატორები, სათამაშო და გასართობი ცენტრები	საერთო ფართის 1მ ²	0,03	0.36
23	ვაგზლები, აეროპორტები, რკინიგზის, საავტომობილო და მეტროპოლიტენის სადგურები	ღია ფართის 1მ ²	0,008	0.096
		დახურული ფართის 1მ ²	0,08	0.96
24	ღია ტიპის დასვენებისა და გასართობი თავშეყრის ადგილები, სკვერები, ბაღები, ატრაქციონები	საერთო ფართის 1მ ²	0,008	0.09
25	საწარმო ობიექტების ღია ტერიტორიები (შიდა მისასვლელი გზები, სკვერები, გაზონები) გამოუყენებელ ღია ტერიტორიებზე მოსაკრებელი არ დაირიცხება	საერთო ფართის 1მ ²	0,008	0.096
26	სერიული პროდუქციის საწარმოების შენობა-ნაგებობები (საწარმოო ნარჩენების გარდა)	საერთო ფართის 1მ ²	0,03	0.036

ერთი თვის მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება იურიდიული პირებისათვის
 $m = g \cdot X \cdot r$

m - ერთი თვის მოსაკრებელი იურიდიული პირებისათვის (ლარი)

g - მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე (ლარი)

r - ზომის ერთეულის ფაქტიური რაოდენობა (შესაბამისი ფართი, ადგილი, საწოლი და ა.შ)

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის
 გადახდის ქვითრის ნიმუში**

_____ (ადმინისტრაციული ერთეული)
 ქვითარი N ----- თარიღი -----
 აბონენტის ნომერი -----
 აბონენტი: -----
 მისამართი: -----
 სახლი N -----
 მიმდინარე თვე: -----
 ტარიფი-1სული/1კვ.მ. -----
 სულადობა/ ფართი: -----

_____ (ადმინისტრაციული ერთეული)
 ქვითარი N ----- თარიღი -----
 აბონენტის ნომერი -----
 აბონენტი: -----
 მისამართი: -----
 სახლი N -----
 მიმდინარე თვე: -----
 ტარიფი-1სული/1კვ.მ. -----
 სულადობა/ ფართი: -----

გასული პერიოდის დავალიანება (----- ლარი)

გასული პერიოდის დავალიანება (----- ლარი)

დარიცხვა მიმდინარე თვეში ----- ლარი
 გადახდა მიმდინარე თვეში: ----- ლარი
სულ დავალიანება: ----- ლარი

დარიცხვა მიმდინარე თვეში ----- ლარი
 გადახდა მიმდინარე თვეში: ----- ლარი
სულ დავალიანება: ----- ლარი

გადაიხდა: ----- ლარი -----თეთრი

გადაიხდა: ----- ლარი -----თეთრი

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N142

ქ. ხობი

2010 წლის 25 თებერვალი

„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 29 მარტის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 29 მარტის N28 დადგენილების დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური პროგრამების და გეგმების შედგენის ხელმძღვანელობა, საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა, დამტკიცებული პროგრამების შესრულების ხელმძღვანელობა;“;

ბ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა“ და საკრებულოს დებულებით დადგენილი პროცედურებისა და ვადების შესაბამისად გამგეობის მიერ ბიუჯეტის პროექტის (მათ შორის საგანგებო ბიუჯეტის), ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტების მომზადების ხელმძღვანელობა და მათი საკრებულოს თავმჯდომარისთვის წარდგენა;“;

გ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) გამგეობის მიერ ბიუჯეტის შესრულების ხელმძღვანელობა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის საკრებულოში წარდგენა;“;

დ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეუტანლად, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;“;

ე) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) ადგილობრივი გადასახადებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ცვლილებების და გაუქმების თაობაზე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება და საკრებულოს თავმჯდომარისთვის წარდგენა;“;

ვ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ღ) თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური პროგრამების, გეგმების და ბიუჯეტის პროექტის, აგრეთვე საკრებულოს დავალებით საკრებულოს სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების საჯარო განხილვების ორგანიზება;“;

ზ) მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შედგენის სამუშაოების ორგანიზება; თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური პროგრამების, გეგმებისა და პრიორიტეტების საფუძველზე ბიუჯეტის პროექტის შემუშავება. მონაწილეობის მიღება თვითმმართველი

ერთეულის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვებში, საჯარო განხილვებისას გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვა და მათი ანალიზი.“;

თ) მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაბალანსება.“;

ი) მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების მომზადება და მათი შესრულების კოორდინაცია; მუნიციპალური განვითარების პროგნოზების, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობების, თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტებისა და სხვა დოკუმენტაციის მომზადება.“.

2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას, გამგეობის სტრუქტურული ერთეულების დებულებების საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და გამგეობის დებულებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საკრებულოს ერთი თვის ვადაში წარუდგინოს დასამტკიცებლად შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტები.

3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N143

ქ. ხოზი

2010 წლის 25 თებერვალი

„ხოზის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 30 აპრილის N95 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 30 აპრილის N95 დადგენილება.
2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N144

ქ. ხოზი

2010 წლის 25 თებერვალი

**„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 25 დეკემბრის N109 დადგენილებაში
ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 25 დეკემბრის N109 დადგენილების დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება და მათი შესრულების კონტროლი;“;

დ) მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე) მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საერთო კოორდინაციას უწევს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას და დამტკიცებული პროგრამების (ბიუჯეტის) შესრულებას; საკრებულოს განსახილველად წარუდგენს ბიუჯეტისა და ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე პროექტებს;“;

ვ) 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) წინასწარ განიხილავს საკითხებს და საკრებულოსთვის ამზადებს დასკვნებს მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმის პროექტებზე;“;

ზ) 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) განიხილავს თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალურ პროგრამებსა და გეგმებს, ბიუჯეტის პროექტებს და შეიმუშავებს დასკვნებს;“;

თ) 69-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 69. საკრებულოში თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის წარდგენის, განხილვისა და მიღების წესი

1. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტების მომზადების, წარდგენის, განხილვისა და დამტკიცების წესი განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ და ამ დებულებით (რეგლამენტით).

2. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად გამგებელი წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

3. ბიუჯეტის პროექტთან ერთად, საკრებულოს წარედგინება გამგეობის მიერ მომზადებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი.

4. ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- ა) ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- ბ) ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეორე თანრიგის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) მიხედვით;
- გ) ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;
- დ) ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;
- ე) სარეზერვო ფონდის მოცულობას;
- ვ) დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;
- ზ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებულ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ მიზნებსა და შედეგებს;
5. ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები უნდა მოიცავდეს:
- ა) ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს;
- ბ) მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას.
6. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული ინფორმაცია, გარდა იმავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, წარმოდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია - დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის.
7. ბიუჯეტის პროექტის საკრებულოსთვის განსახილველად წარდგენამდე, იგი საკრებულოს თავმჯდომარის მიერ წინასწარი განხილვისთვის გადაეცემა საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიას და ფრაქციებს.
8. ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისთვის.
9. ბიუჯეტის პროექტთან ერთად, საჯარო განხილვისთვის შესაძლებელია გამოქვეყნდეს საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის დასკვნა, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს სხვა კომისიების, აგრეთვე საკრებულოს წევრების წინადადებები, შენიშვნები და შეფასებები.
10. საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის მიერ ბიუჯეტის პროექტის წინასწარი განხილვის შემდეგ იგი საკრებულოს წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარის მიერ.
11. საკრებულო, ბიუჯეტის პროექტს საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის დასკვნასთან, ფრაქციებისა და საკრებულოს წევრთა წინადადებებთან ერთად საჯაროდ განიხილავს სხდომაზე და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.
12. ბიუჯეტის პროექტის განხილვა წარმოებს ერთი მხრივ ნომერთა რიგის მიხედვით და მეორე მხრივ, ნომერთა იმ ჯგუფის მიხედვით, რომლებიც წარმოადგენდნენ ცალკე მხარჯავი დაწესებულებების საფინანსო ხარჯების ნუსხას.
13. პირველად განიხილება მთელი უწყების საფინანსო ხარჯთაღრიცხვის ზოგადი საფუძვლები, შემდეგ - ცალ-ცალკე მუხლები.
14. ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს ჯერ უნდა მოხდეს პროექტის ზოგადი საფუძვლების განხილვა, ხოლო შემდეგ - ცალ-ცალკე მუხლების.
15. როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების თითოეულ მუხლს ცალ-ცალკე უნდა ეყაროს კენჭი.
16. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარე არაუგვიანეს 25 ნოემბრისა, ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს გამგებელს, რომელიც არაუგვიანეს 10 დეკემბრისა, საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს ბიუჯეტის პროექტის შესწორებულ, ან იმავე ვარიანტს.
17. საკრებულოს მიერ ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საკრებულოს სიითი შემადგენლობის 1/2-ით შესაძლებელია დამტკიცდეს საკრებულოს ფრაქციის ან/და სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მიერ ინიცირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამგებლისთვის გაგზავნილი შენიშვნები.

18. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი მიიღება საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

19. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში, საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებების მიზნობრივი დაფინანსების უზრუნველსაყოფად საკრებულო უფლებამოსილია დაამტკიცოს გამგეობის მიერ წარმოდგენილი საგანგებო ბიუჯეტი.“;

ი) 117-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საკრებულომ ორ თვეში ვერ აირჩია საკრებულოს თავმჯდომარე და გამგებელი;“;

კ) 117-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებიდან 3 თვის განმავლობაში თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის გამო საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა შესაბამისი სამართლებრივი აქტი.“;

ლ) 118-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულოს დებულება (რეგლამენტი) მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა.“;

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N145

ქ. ხობი

2010 წლის 25 თებერვალი

„ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 25 ივნისის N122 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 25 ივნისის N122 დადგენილების დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში - გამგეობა) უფლებამოსილია გამგებლის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით განახორციელოს ცვლილებები (მათ შორის, ორგანიზაციული კოდის დამატება) ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში.“;

ბ) მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხობის მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს საკრებულოს დადგენილების ან გამგებლის ბრძანების პროექტს ამ თანხის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის მიზნით.“;

გ) მე-3 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საბიუჯეტო სახსრები გამოიყო რომელიმე მხარჯავი დაწესებულების დამატებით დასაფინანსებლად, მხარჯავი დაწესებულების დაფინანსების წლიური გეგმის დაზუსტება და ასიგნების გაცემა ხორციელდება ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტის შემთხვევაში, გეგმის ცვლილების ცნობის საფუძველზე, შესაბამისი თანხით მცირდება ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ან/და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის მოცულობა და იზრდება წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული გასაცემლები.“;

დ) მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ინფორმაცია ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილებაზე, შესაბამისი დოკუმენტაციით, ცნობის სახით საკრებულოს წარედგინება 10 დღის ვადაში.

3. გამგებლის ბრძანებით ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები დამტკიცებულ ბიუჯეტში ასახვის მიზნით ერთი თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასასრულისა უნდა წარედგინოს საკრებულოს დასამტკიცებლად საკრებულოს დადგენილების პროექტის სახით.“.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N146

ქ. ხოზი

2010 წლის 25 თებერვალი

„ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 28 ოქტომბრის N133 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 28 ოქტომბრის N133 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) მონაწილეობს საფინანსო ბალანსების, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობებისა და ადმინისტრაციული ერთეულის სხვა დოკუმენტების მომზადებაში;“.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N147

ქ. ხობი

2010 წლის 16 მარტი

„ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის N137 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შემცირდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში:

ა) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯები 864,9 ათასი ლარით (მათ შორის: გზების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯები - 305.5 ათასი ლარით; წყლის სისტემის ექსპლოატაციისა და რეაბილიტაციის ხარჯები - 153.0 ათასი ლარით; სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხარჯები - 217,4 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ხარჯები - 189.0 ათასი ლარით).

2. გამოთავისუფლებული თანხების მთლიანი მოცულობა - 864,9 ათასი ლარი მიიმართოს შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებზე - 3,0 ათასი ლარი (მათ შორის: გამგეობის აპარატის დაფინანსება - 3.0 ათასი ლარი);

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსების ხარჯებზე - 40.0 ათასი ლარი;

გ) სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხარჯებზე - 6.0 ათასი ლარი (მათ შორის სპორტული ღონისძიებების დაფინანსება - 6.0 ათასი ლარი);

დ) ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯებზე - 794.9 ათასი ლარი (მათ შორის: გზების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯები - 389.4 ათასი ლარი; წყლის სისტემის ექსპლოატაციისა და რეაბილიტაციის ხარჯები - 134.7 ათასი ლარი; სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხარჯები - 58.1 ათასი ლარი; კეთილმოწყობის ხარჯები - 212.7 ათასი ლარი);

ე) სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებზე - 6,0 ათასი ლარი (მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები - 6.0 ათასი ლარი);

ვ) ფინანსური აქტივების ცვლილება - 15,0 ათასი ლარი (მათ შორის: „ვალუტა და დეპოზიტების ზრდა“ - 15,0 ათასი ლარი).

3. დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, „ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის N137 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი თანახმად N1 დანართისა:

ა) ბიუჯეტის შემოსავლები - 7799,9 ათასი ლარით (აქედან: გადასახადები 6192,0 ათასი ლარი; გრანტები - 1290,9 ათასი ლარი; სხვა შემოსავლები - 317.0 ათასი ლარი);

ბ) ბიუჯეტის ხარჯები - 4825,3 ათასი ლარით (აქედან: შრომის ანაზღაურება - 1147.7 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურება -784.1 ათასი ლარი; სუბსიდიები - 2633,5 ათასი ლარი; სოციალური უზრუნველყოფა - 260.0 ათასი ლარი);

გ) საოპერაციო საღდო - 2974,6 ათასი ლარით;

დ) არაფინანსური აქტივების ცვლილება - 2955,7 ათასი ლარით;

ე) მთლიანი საღდო - 18,9 ათასი ლარით;

ვ) ფინანსური აქტივების ცვლილება - -3,9 ათასი ლარით“;

ბ) დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანახმად N2 დანართისა. მათ შორის:

ა) შემოსულობები - 8449,9 ათასი ლარით (აქედან: შემოსავლები - 7799,9 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების კლება - 650,0 ათასი ლარი);

ბ) გადასახდელები - 8431,0 ათასი ლარით (აქედან: ხარჯები - 4825,3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა - 3605,7 ათასი ლარი);

გ) ნაშთის ცვლილება - 18,9 ათასი ლარით.“;

გ) დადგენილების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ზ) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

თ) ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნა და მისი თავმჯდომარის დანიშვნა;

ი) თვითმმართველ ერთეულში ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა, მათი საზღვრების დადგენა და გაუქმება;

კ) კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნება;

ლ) კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში თანხმობის მიცემა თვითმმართველი ერთეულის სახელით შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დადებაზე;

მ) ქუჩებისა და მოედნების სახელდება;

ნ) შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ო) საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

3. საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების და დამატებების შეტანა; ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება;

ბ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, გადასახადებისა და მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში;

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენა;

დ) ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცება;

ე) საარქივო მომსახურების ტარიფების დადგენა;

ვ) გარე ვაჭრობისა და გარე რეკლამის განთავსების მარეგულირებელი ნორმების დადგენა;

ზ) თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება და მათი შესრულების კონტროლი;

თ) თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვისა და ქონებით სარგებლობის წესების დადგენა;

ი) თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასისა და სარგებლობის ქირის ოდენობის დადგენა;

კ) თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცება;

ლ) თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმის დადგენა;

მ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გრანტის მიღებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება;

ნ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს მთავრობისაგან ან საქართველოს მთავრობის ნებართვით სესხის აღებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება;

ო) კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში თანხმობის მიცემა ისეთი გარიგებების დადებაზე, რომელთა ღირებულებაც აღემატება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის 5 პროცენტს;

პ) ინვესტირების მიმართულებების, საკუთარი, აგრეთვე ერთობლივი მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად საჭირო სახსრების განსაზღვრა და თვითმმართველ ერთეულში ინვესტიციების ხელშეწყობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ხელშეკრულების დამტკიცება ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით სხვა თვითმმართველ ერთეულთან საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ;

ჟ) საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

4. სოციალურ სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა დამტკიცება;

ბ) ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარულ-ეპიდემოლოგიური მომსახურების მუნიციპალურ პროგრამათა დამტკიცება;

გ) გადაწყვეტილების მიღება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მოსახლეობის დამატებითი სოციალური მომსახურების სახეების დაფინანსების შესახებ;

დ) თვითმმართველი ერთეულის საპატიო ჯილდოებისა და წოდებების შემოღებისა და მინიჭების წესის დადგენა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

5. მიწათსარგებლობის და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცება;

ბ) გადაწყვეტილების მიღება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსების დაცვისა და სარგებლობის შესახებ;

გ) ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების დამტკიცება;

დ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ტყის და წყლის რესურსების მართვის წესების განსაზღვრა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

6. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის დაგეგმარებისა და კეთილმოწყობის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების განსაზღვრა;

ბ) განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება;

გ) ქალაქმშენებლობის დოკუმენტების დამტკიცება;

დ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების დამტკიცება;

ე) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (ისტორიულ-კულტურული, გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და სხვა სპეციალური ზონები) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა;

ვ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამათა დამტკიცება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

7. ტრანსპორტისა და საგზაო მეურნეობის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და საგზაო მოძრაობის დაგეგმარება;

ბ) ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანის, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურებისა და ადგილობრივი გადაზიდვების წესების, ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების დადგენა;

გ) საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

8. აღრიცხვისა და ინფორმაციის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) საინფორმაციო სისტემის, ქსელის, ბაზების, მონაცემთა ბანკების გამოყენების წესების დადგენა;

ბ) ადგილობრივი ქონებისა და დოკუმენტების აღრიცხვის წესების დადგენა;

გ) საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.“;

დ) II თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი II.

საკრებულოს წევრი

მუხლი 8. საკრებულოს წევრის სტატუსი

1. საკრებულოს წევრის სტატუსი არის საკრებულოს წევრისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მოიცავს საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს.

2. საკრებულოს წევრი არის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული პირი.

3. საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება საკრებულოს მიერ ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით მისი უფლებამოსილების ცნობიდან და მთავრდება ახალარჩეული საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე, ან ამ წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე.

4. საკრებულოს წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია. თავისი მოვალეობის შესრულებისას იგი არ არის შეზღუდული ამომრჩევლებისა და მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანებების განაწესებითა და დავალებებით.

5. თავისუფალი მანდატი საკრებულოს წევრს არ ათავისუფლებს ამომრჩევლებთან მუშაობისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან ამ დებულებით დადგენილი წესით.

6. საკრებულოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან მოიცავს:

ა) ამომრჩეველთა უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას;

ბ) მოქალაქეთა მიღებას;

გ) საზოგადოებრივი აზრის შესწავლას;

დ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და პოლიტიკურ გაერთიანებებთან თანამშრომლობას;

ე) გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირებას;

ვ) ამომრჩევლებთან შეხვედრას სამ თვეში ერთხელ მაინც.

7. საკრებულოს წევრი თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს უშუალოდ. დაუშვებელია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების სხვა პირისთვის გადაცემა.

8. საკრებულოს წევრის საქმიანობის ფორმებია:

ა) საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;

ბ) საკრებულოს ორგანოების მუშაობაში მონაწილეობა;

გ) საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და მათი ინიცირება;

დ) საკრებულოს კომისიების, ფრაქციების და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა;

ე) საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირებისადმი კითხვით მიმართვა;

ვ) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებების და საჩივრების განხილვა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფორმები.

9. საკრებულოს წევრი საკრებულოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული ყველა საკითხის განხილვისას სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით. საკრებულოს წევრი სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობს საკრებულოს იმ ორგანოების მუშაობაში მონაწილეობისას, რომლის წევრიც არ არის.

10. საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ საკრებულოს შემდეგ თანამდებობის პირთა საქმიანობა:

- ა) საკრებულოს თავმჯდომარე;
- ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე;
- დ) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე.

11. საკრებულოს წევრს უფლება არა აქვს:

- ა) იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;
- ბ) ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც არჩევა, დანიშვნა ან დამტკიცება ხდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- გ) ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც დანიშვნა ხდება საქართველოს პრეზიდენტის ან საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ;
- დ) ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც არჩევა, დანიშვნა ან დამტკიცება ხდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ;
- ე) იმუშაოს საქართველოს სასამართლო ხელისუფლების, პროკურატურის, კონტროლის პალატის, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ორგანოებში;
- ვ) იყოს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე;
- ზ) იმუშაოს იმ სახელმწიფო ორგანოში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ზედამხედველობას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს;
- თ) იმუშაოს საკრებულოს აპარატში და გამგეობაში;
- ი) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველი ერთეულის საწარმოების მართვაში (იყოს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სამეთვალყურეო ან დირექტორთა საბჭოს წევრი და სხვა), აგრეთვე იყოს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით დაფინანსებული დაწესებულების დირექტორი ან დირექტორის მოადგილე, გარდა საგანმანათლებლო (სასკოლო დაწესებულებები და სხვა), კულტურის (თეატრები და სხვა) და ჯანმრთელობის დაცვის (საავადმყოფოები და სხვა) დაწესებულებებისა.

12. საკრებულოს წევრს უფლება არა აქვს, კანონით დადგენილი უფლებამოსილებანი ან მათთან დაკავშირებული შესაძლებლობები გამოიყენოს პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

13. საკრებულოს წევრის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მოიცავს საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესს და გარანტიებს განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით (რეგლამენტით).

მუხლი 9. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა, უფლებამოსილების შეჩერება და უფლებამოსილების შეწყვეტა

1. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა ხდება საკრებულოს მიერ, შესაბამისი საარჩევნო კომისიის წარდგინებისა და საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის (ხოლო მუდმივი კომისიის შექმნამდე დროებითი სამანდატო კომისიის) დასკვნის საფუძველზე.

2. საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება საკრებულოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

3. საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თუ:

- ა) პირადი განცხადებით მოეხსნა უფლებამოსილება;
- ბ) მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

- დ) შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;
- ე) არასაპატიო მიზეზით 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში;
- ვ) დაინიშნა, არჩეულ ან დამტკიცებულ იქნა მე-8 მუხლით გათვალისწინებულ, საკრებულოს წევრისთვის შეუთავსებელ თანამდებობაზე;
- ზ) გარდაიცვალა.

4. საკრებულო, საკრებულოს წევრის ვადამდე შეწყვეტის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე.

5. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, საკრებულო იღებს ცნობად, კენჭისყრის გარეშე.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია არკვევს საკრებულოს წევრის გაცდენის მიზეზებს და თუ დადასტურდა, რომ გაცდენები არასაპატიოა, საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნას, რომლის საფუძველზეც საკრებულო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

7. საკრებულოს წევრს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება შეუთავსებელ თანამდებობაზე დანიშვნის, არჩევის ან დამტკიცების შესახებ შესაბამისი აქტის ძალაში შესვლიდან მეორე დღეს.

8. საკრებულოს წევრის დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში მას უჩერდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

9. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში საკრებულოს წევრს:

ა) აღუდგება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, თუ გასული არ არის იმ საკრებულოს უფლებამოსილების ვადა, რომლის წევრიც იგი არის და მიეცემა კომპენსაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) თუ გასულია იმ საკრებულოს უფლებამოსილების ვადა, რომლის წევრიც იგი იყო, დაკავების ან დაპატიმრების ვადა ჩაეთვლება საკრებულოს წევრად ყოფნის საერთო ვადაში და მიეცემა შესაბამისი კომპენსაცია.

10. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 10. საკრებულოს წევრის მოვალეობები

1. საკრებულოს წევრი ვალდებულია:

- ა) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონმდებლობა და ეს დებულება (რეგლამენტი);
- ბ) მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიათა მუშაობაში;
- გ) ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით შეხვდეს მოქალაქეებს;
- დ) იყოს საკრებულოს ერთი, მაგრამ არა უმეტეს ორი კომისიის შემადგენლობაში;
- ე) არ გაახმაუროს და პირადი ინტერესებისთვის არ გამოიყენოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ან კონფიდენციალური ინფორმაცია;
- ვ) არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისთვის თავისი უფლებამოსილება ან/და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა;
- ზ) არანაკლებ წელიწადში ერთხელ ჩააბაროს ანგარიში ამომრჩევლებს გაწეული საქმიანობის შესახებ.

2. საკრებულოს წევრი ვალდებულია უარი განაცხადოს საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომაზე იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობასა და კენჭისყრაზე, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს.

3. საკრებულოს წევრი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს საკრებულოს თავმჯდომარეს კანონმდებლობით და ამ დებულებით (რეგლამენტით) განსაზღვრულ მოვალეობათა შესრულების ხელის შემშლელი გარემოებების შესახებ.

მუხლი 11. საკრებულოს წევრის უფლებები

1. საკრებულოს წევრს უფლება აქვს საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომაზე ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით:

ა) დასვას საკითხი განსახილველად;

ბ) გამოთქვას შენიშვნები და წინადადებები საკრებულოს კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა საკითხზე;

გ) მონაწილეობა მიიღოს კამათში, შეკითხვა დაუსვას მომხსენებელს, თანამომხსენებელს და სხდომის თავმჯდომარეს; მოითხოვოს, მიიღოს და შეაფასოს პასუხები;

დ) გააცნოს საკრებულოს (საკრებულოს კომისიას) მოქალაქეთა წერილები და მიმართვები;

ე) კამათში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს თავისი გამოსვლის ტექსტი, აგრეთვე წერილობით ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები საკრებულოს (საკრებულოს კომისიის) სხდომაზე განსახილველი საკითხების თაობაზე;

ვ) გამოთქვას აზრი საკრებულოს მიერ შესაქმნელი ორგანოების, მათი პერსონალური შემადგენლობის და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს, ამტკიცებს ან რომელთა დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა საკრებულო;

ზ) ინიცირების წესით შეიტანოს საკრებულოს სამართლებრივი აქტის პროექტი;

თ) ინიცირების წესით წარადგინოს წინადადება საკრებულოს სამართლებრივი აქტის შესახებ;

ი) ინიცირების წესით წარადგინოს წინადადება საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის გაუქმების ან მასში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ.

კ) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანის საკითხის განხილვაში;

ლ) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს იმ კომისიების (დროებითი სამუშაო ჯგუფების) მუშაობაში, რომლის წევრიც ის არ არის;

მ) კითხვით მიმართოს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, გამგებელს, სხვა თანამდებობის პირს და მიიღოს პასუხი. შესაბამისი ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებულია ერთი კვირის ვადაში უპასუხოს საკრებულოს წევრის კითხვას. კითხვის ავტორთან შეთანხმებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ათი დღისა;

ნ) შეუფერხებლად შეხვდეს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს;

ო) უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში;

პ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს ნებისმიერი ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად;

ჟ) საკრებულოს აპარატს დადგენილი წესით მოსთხოვოს სათანადო ინფორმაცია და ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფა;

რ) ისარგებლოს იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის ინფორმაციის მიწოდების უპირატესი უფლებით, რომლებიც ფინანსდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

2. საკრებულოს წევრს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით უფლება აქვს არჩეულ, დანიშნულ და წარდგენილ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობებზე, საკრებულოს კომისიისა და დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობებში, გაერთიანდეს ფრაქციაში, გადადგეს ან გამოვიდეს ამ ორგანოებიდან (გაერთიანებებიდან).

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა თანამდებობის პირი ვალდებულია შეუფერხებლად მიიღოს საკრებულოს წევრი.

მუხლი 12. საკრებულოს წევრის საქმიანობის გარანტიები

1. დაუშვებელია საკრებულოს წევრის პასუხისგებაში მიცემა თავისი მოვალეობების შესრულებისას საკრებულოში ან მის გარეთ გამოთქმული აზრების და შეხედულებებისთვის, გარდა საქართველოს კონსტიტუციისა და კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

2. საკრებულოს წევრი არ შეიძლება ადმინისტრაციის ინიციატივით დაითხოვონ საჯარო დაწესებულებიდან ან დისციპლინური წესით გადაიყვანონ დაბალხელფასიან სამუშაოზე საკრებულოს თანხმობის გარეშე, ხოლო საკრებულოს სხდომებს შორის პერიოდში – საკრებულოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე.

3. საკრებულოს წევრი საკრებულოს სხდომებში ან მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩევლებთან შესახვედრად, საკრებულოს ან საკრებულოს თავმჯდომარის

დავალებათა შესასრულებლად, საკრებულოს თავმჯდომარის ოფიციალური შეტყობინების საფუძველზე შესაბამისი ვადით თავისუფლდება საჯარო დაწესებულებაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან საშუალო ხელფასის შენარჩუნებით და ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნაზღაურდება საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ:

- ა) ტრანსპორტით მგზავრობისთვის;
- ბ) სასტუმროში ცხოვრების ან საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის;
- გ) კავშირგაბმულობის საშუალებებით სარგებლობის, საფოსტო და სატელეგრაფო გზავნილებისთვის;
- დ) ამომრჩევლებთან შეხვედრისთვის;
- ე) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული კონსულტაციებისა და ექსპერტიზისთვის;
- ვ) საკრებულოს მიერ გაგზავნილი მივლინებისთვის.

4. საჯარო მოსამსახურეების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ საკრებულოს წევრის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობა ან მისი საქმიანობის განხორციელებისთვის ხელის შეშლა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. საკრებულოს წევრის ხელშეუხებლობის, პატივისა და ღირსების ხელყოფა, მისი ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებზე კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედება, საკრებულოს წევრის მიერ საქმიანობის შეწყვეტის ან მისი ხასიათის შეცვლის მიზნით, ისჯება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“;

ე) მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. საკრებულოს თავმჯდომარე

1. საკრებულოს თავმჯდომარე არის თვითმმართველი ერთეულისა და საკრებულოს ხელმძღვანელი, რომელსაც თავის შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით ირჩევს საკრებულო.

2. საკრებულოს თავმჯდომარე:

- ა) ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს;
- ბ) წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას; ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;
- გ) ხელს აწერს საკრებულოს და თვითმმართველი ერთეულის სახელით დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს;
- დ) უძღვება საკრებულოს მუშაობას. საერთო ხელმძღვანელობას უწევს საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, დროებითი სამუშაო ჯგუფების, საკრებულოს აპარატის და საკრებულოს თანამდებობის პირთა საქმიანობას;
- ე) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით და საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი პროცედურების დაცვას;
- ვ) აკონტროლებს საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით და საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი მოვალეობების შესრულებას;
- ზ) უზრუნველყოფს საკრებულოს და საკრებულოს წევრთა უფლებების დაცვას;
- თ) ხელს აწერს საკრებულოს დადგენილებებს და განკარგულებებს, მისი სხდომების ოქმებს და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს;
- ი) საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეთა წარდგინებით, საკრებულოს კომისიებში იწვევს ექსპერტებს და სპეციალისტებს; დებს და აუქმებს მათთან ხელშეკრულებებს; საერთო ხელმძღვანელობას უწევს კომისიებში მოწვეულ პირთა საქმიანობას;
- კ) საერთო კოორდინაციას უწევს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას და დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას;
- ლ) იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს და წარმართავს საკრებულოს სხდომებს;

მ) თავმჯდომარეობს საკრებულოს ბიუროს სხდომებს;

ნ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებს;

ო) საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელს;

პ) საკრებულოს ყოველწლიურად დასამტკიცებლად წარუდგენს გამგებლის მიერ წარმოდგენილ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს; თანხმობას აძლევს გამგებელს, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეუტანლად, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად გადაანაწილოს თანხები მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის;

ჟ) საკრებულოს წარუდგენს გამგებლის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივი აქტების პროექტებს თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და ამ მიზნით თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შესახებ;

რ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგებლის მიერ წარმოდგენილ ადგილობრივი შესყიდვების გეგმას;

ს) საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით;

ტ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს აპარატის დებულებას;

უ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგებლის მიერ წარმოდგენილ გამგეობის დებულებას, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების დებულებებს;

ფ) ამტკიცებს საკრებულოს აპარატის შინაგანაწესს, საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ ინსტრუქციებს;

ქ) ამტკიცებს გამგებლის მიერ წარმოდგენილ გამგეობის შინაგანაწესს, საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ ინსტრუქციებს;

ღ) იღებს გადაწყვეტილებებს საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა წახალისების და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ყ) გამგებლის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს გამგეობის მოსამსახურეთა წახალისების და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

შ) გამგებლის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს გამგეობის მართვაში არსებული საწარმოების საწესდებო კაპიტალში თვითმმართველი ერთეულის ქონების შეტანის თაობაზე;

ჩ) გამგებლის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემის ან სხვაგვარად განკარგვის თაობაზე;

ც) გამგებლის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, თვითმმართველი ერთეულის ქონების სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ;

ძ) უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის საპრივატიზებო ქონების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

წ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით (რეგლამენტით) და გამგეობის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. საკრებულოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე.

4. საკრებულოს თავმჯდომარეს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და ამ დებულებით (რეგლამენტით). საკრებულოს თავმჯდომარის სხვა თანამდებობაზე დანიშვნის,

არჩევის ან დამტკიცების შემთხვევაში მას შეუწყდება საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილება.“;

ვ) მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სხვა თანამდებობაზე დანიშვნის, არჩევის ან დამტკიცების შემთხვევაში მას შეუწყდება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილება.“;

ზ) მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის სხვა თანამდებობაზე დანიშვნის, არჩევის ან დამტკიცების შემთხვევაში მას შეუწყდება საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილება.“;

თ) მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის სხვა თანამდებობაზე დანიშვნის, არჩევის ან დამტკიცების შემთხვევაში მას შეუწყდება საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის უფლებამოსილება.“;

ი) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

კ) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ისმენს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა ანგარიშებს;“;

ლ) მე-20 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისთვის ხელის შეწყობის, გამგეობის და მისი სტრუქტურული ერთეულების კონტროლის მიზნით იქმნება არაუმეტეს 5 კომისიისა.“;

მ) 39-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის შემდეგ ახალი მოწვევის საკრებულოს პირველ სხდომებზე საკითხები განიხილება შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;

გ) საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღება;

დ) საკრებულოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების არჩევა და კომისიათა შემადგენლობების დამტკიცება;

ე) საჭიროების შემთხვევაში, საკრებულოს, საკრებულოს კომისიების ან/და საკრებულოს აპარატის დებულებების დამტკიცება ან მათში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა.“

ნ) მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საკრებულოს სხდომათა დარბაზში ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი ადგილები თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირთათვის, საკრებულოში აკრედიტირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებისა და საკრებულოში მოწვეული პირებისთვის.“;

ო) 44-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

პ) 47-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ჟ) VII თავის სათაური და 65-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი VII.

საკრებულოში სამართლებრივი აქტების მიღების (გამოცემის) წესი
მუხლი 65. საკრებულოს სამართლებრივი აქტები

1. საკრებულოში მიიღება (გამოიცემა) შემდეგი სახის სამართლებრივი აქტები:

ა) ნორმატიული აქტი - საკრებულოს დადგენილება;

ბ) ინდივიდუალური აქტი - საკრებულოს განკარგულება;

გ) ინდივიდუალური აქტი - საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება.

2. სამართლებრივი აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და ამ დებულებით (რეგლამენტით).

3. საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის, მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოებისთვის.

4. საკრებულოს გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა შეიძლება მხოლოდ საკრებულოს გადაწყვეტილებით.

5. საკრებულოს გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს საკრებულოს გადაწყვეტილებით ან სასამართლო წესით.

6. საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების შეჩერების და გაუქმების უფლება აქვს საკრებულოს, აგრეთვე სასამართლოს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტის შეჩერებისა და გაუქმების თაობაზე საკრებულოს გადაწყვეტილებებს ხელს აწერს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.“;

რ) XI თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XI.

თანამდებობის პირთა არჩევა, დანიშვნა, დამტკიცება, მათი გადაყენება და გათავისუფლება“

ს) 85-ე მუხლის სათაური და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„მუხლი 85. თანამდებობის პირთა არჩევის (დამტკიცების, დანიშვნის) ზოგადი წესი

1. საკრებულოს მიერ, კანონით დადგენილ თანამდებობის პირთა არჩევის (დამტკიცების, დანიშვნის) შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საკრებულოს სხდომაზე, საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით.“;

ტ) 87-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 87. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის წესი

1. საკრებულოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო.

2. საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს წევრს.

3. საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურების დასახელების შემდეგ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე აცხადებს კანდიდატთა სიას და ითხოვს მათ თანხმობას, კენჭი იყარონ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. წამოყენებულ კანდიდატს უფლება აქვს მოხსნას თავისი კანდიდატურა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

4. სხდომის თავმჯდომარე კენჭისყრისათვის ადგენს კანდიდატთა ერთიან სიას მათი წარდგენის რიგითობის მიხედვით.

5. კენჭისყრის პროცესს ხელმძღვანელობს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია (ხოლო მის შექმნამდე დროებითი სამანდატო კომისია).

6. საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

7. თუ არჩევნებში მონაწილეობდა ერთი ან ორი კანდიდატი და საკრებულოს თავმჯდომარე ვერ აირჩა, ტარდება ხელახალი არჩევნები. ერთი და იგივე კანდიდატი შეიძლება დასახელდეს მხოლოდ ორჯერ.

8. თუ არჩევნებში მონაწილეობდა ორზე მეტი კანდიდატი და მათგან ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, ტარდება არჩევნების მომდევნო ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს.

9. თუ არჩევნების პირველ ტურში პირველ ადგილზე გავიდა ორზე მეტი თანაბარი ხმის მქონე კანდიდატი, ტარდება ხელახალი არჩევნები.

10. თუ არჩევნების პირველ ტურში მეორე ადგილზე გავიდა ორი ან მეტი მეტი თანაბარი ხმის მქონე კანდიდატი, მეორე ტურში კენჭი ეყრება მხოლოდ პირველ ადგილზე გასულ კანდიდატს.

11. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ აირჩა საკრებულოს თავმჯდომარე, ტარდება ხელახალი არჩევნები.

12. ხელახალი ან/და მომდევნო ტურის არჩევნების თარიღი და დრო წყდება ადგილზე.

13. ხელახალი კენჭისყრის დროს კანდიდატურების დასახელება ხდება თავიდან.

უ) 88-ე მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ფ) 89-ე და 90-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 89. გამგებლის დანიშვნის წესი

1. გამგებელს საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს საკრებულოს თავმჯდომარე.

2. საკრებულოს თავმჯდომარე გამგებლის თანამდებობაზე კანდიდატის დანიშვნისთვის თანხმობის მისაღებად კანდიდატურას წარადგენს საკრებულოს სხდომაზე.

3. კანდიდატი უფლებამოსილია საკრებულოს სხდომას წარუდგინოს სამომავლო საქმიანობის ზოგადი პროგრამა.

4. საკრებულოს წევრები უფლებამოსილნი არიან კანდიდატს დაუსვან შეკითხვები. სხდომაზე გამოსვლის ფორმები განისაზღვრება ამ დებულებით (რეგლამენტით).

5. გამოსვლების დასრულებულად გამოცხადების შემდგომ ეწყობა კენჭისყრა წარმოდგენილი კანდიდატურის გამგებლის თანამდებობაზე დასანიშნად საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მისაცემად.

6. თანხმობა მიღებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

7. თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარე 10 დღის ვადაში ხელახლა წარმოადგენს გამგებლის კანდიდატურას.

8. ერთი და იგივე კანდიდატურა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მხოლოდ ორჯერ.

9. საკრებულოსგან თანხმობის მიღების შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოსცემს ბრძანებას გამგებლის დანიშვნის თაობაზე.

მუხლი 90. გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების წესი

1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევების შესაბამისად, ან საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამგებლის საქმიანობის არაადამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საკრებულოს თანხმობით თანამდებობიდან გაათავისუფლოს გამგებელი.

2. საკრებულოს თავმჯდომარე გამგებლის გათავისუფლებაზე თანხმობის მისაღებად საკრებულოს სხდომას წარუდგენს დასაბუთებულ წინადადებას.

3. გამგებელი უფლებამოსილია საკრებულოს სხდომას მოახსენოს საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

4. საკრებულოს წევრები უფლებამოსილნი არიან გამომსვლელებს დაუსვან შეკითხვები. სხდომაზე გამოსვლის ფორმები განისაზღვრება ამ დებულებით (რეგლამენტით).

5. გამოსვლების დასრულებულად გამოცხადების შემდგომ ეწყობა კენჭისყრა საკრებულოს თავმჯდომარისთვის გამგებლის გათავისუფლებაზე თანხმობის მისაცემად.

6. თანხმობა მიღებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

7. თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარე უფლებამოსილია იგივე საკითხი დააყენოს ერთი თვის გასვლის შემდეგ.

8. მეორედაც თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარეს უფლება არ აქვს მომდევნო 3 თვის განმავლობაში საკრებულოს წინაშე დააყენოს იგივე საკითხი.

9. საკრებულოსგან თანხმობის მიღების შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოსცემს ბრძანებას გამგებლის გათავისუფლების თაობაზე.“;

ქ) XVI თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XVI

მოქალაქეთა მონაწილეობა საკრებულოს საქმიანობაში

მუხლი 106. საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა

1. მოქალაქეები ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესის შესაბამისად შეუზღუდავად შეიძლება დაესწრონ საკრებულოს და საკრებულოს ორგანოების სხდომებს.

2. საკრებულოს საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საკრებულო და საკრებულოს თანამდებობის პირები ვალდებული არიან შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, საკრებულოს და საკრებულოს ორგანოების სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობის და გადაწყვეტილებათა კონტროლის გამჭვირვალობისათვის.

3. საკრებულოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციისა და განსახილველი საკითხების ხელმისაწვდომობის მიზნით, ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ან ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით უნდა გამოქვეყნდეს:

ა) ინიცირებული გადაწყვეტილებათა პროექტები;

ბ) ინიცირებული გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვის პროცედურები და ვადები;

გ) საკრებულოს, აგრეთვე საკრებულოს კომისიის სხდომების დღის წესრიგი, ჩატარების ადგილი და თარიღი;

დ) მიღებული ნორმატიული, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული აქტები, მათი გასაჩივრების ვადები და პროცედურები;

ე) გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლში მოქალაქეთა მონაწილეობის ვადები და პროცედურები;

4. მოქალაქეთა ინფორმირებას საკრებულოს და საკრებულოს ორგანოების სხდომების და მათი საქმიანობის შესახებ უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

5. მიღებული ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობის მიზნით საკრებულოს აპარატი ვალდებულია უზრუნველყოს მათი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კოდიფიცირება.

მუხლი 107. საკრებულოს დადგენილების პროექტის ინიცირება პეტიციის წესით

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს უფლება აქვს მოამზადოს და საკრებულოში წარადგინოს საკრებულოს დადგენილების პროექტი ან წინადადება საკრებულოს ნორმატიული აქტის გაუქმების, ნორმატიულ აქტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ.

2. პეტიციის წესით საკითხი შეტანილი უნდა იქნეს წერილობით, საკრებულოს დადგენილების პროექტის სახით.

3. პეტიციის წესით წარმოდგენილ პროექტს ხელს უნდა აწერდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%.

4. პეტიციის წესით წარმოდგენილ პროექტს თან უნდა ერთვოდეს ამ გადაწყვეტილების მიღების საჭიროების დასაბუთება, პროექტის ავტორის (ავტორების) და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებლის ვინაობა, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

5. კანონმდებლობით და ამ დებულებით (რეგლამენტით) დადგენილი წესით შეტანილ პეტიციას რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს აპარატი.

6. პეტიციის წესით წარმოდგენილი პროექტი გადის ამ დებულების (რეგლამენტის) 67-ე მუხლით გათვალისწინებულ პროცედურებს.

7. პეტიციის წესით წარმოდგენილი პროექტის განხილვისა და ამ დებულების (რეგლამენტის) 106-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია საკრებულოს შესაბამის კომისიაში ან/და საკრებულოს აპარატში. აღნიშნული ინფორმაცია ასევე ქვეყნდება საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე.

8. საკრებულო ვალდებულია პეტიციის წესით შემოტანილი პროექტი რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში განიხილოს საკრებულოს სხდომაზე.

9. საკრებულოს სხდომაზე პეტიციის წესით შემოტანილი პროექტის განხილვაში მომხსენებლის სტატუსით, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს პროექტის ინიციატორთა მიერ დანიშნული მომხსენებელი.

მუხლი 108. საკრებულოს თანამდებობის პირების და საკრებულოს წევრთა საჯარო ანგარიშების მოსმენა

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს შეუზღუდავად დაესწროს საკრებულოს თანამდებობის პირების და საკრებულოს წევრთა საჯარო ანგარიშების მოსმენას.

2. საკრებულოს თანამდებობის პირები და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც მოაწყონ საჯარო შეხვედრა ამომრჩეველებთან და წარდგინონ მათ წინაშე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშით, უპასუხონ ანგარიშის მოსმენისას ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

მუხლი 109. ლობისტური საქმიანობა საკრებულოში

ლობისტური საქმიანობა საკრებულოში დაიშვება „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“;

დ) 117-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 117. საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.

1. საკრებულოს უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება თუ:

ა) თვითმმართველი ერთეული გაუქმდა საქართველოს პარლამენტის დადგენილებით;

ბ) საკრებულოს წევრთა რაოდენობა შემცირდა ნახევარზე მეტით;

გ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებიდან 3 თვის განმავლობაში თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის გამო საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა შესაბამისი ბრძანებულება.

2. საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში თვითმმართველი ერთეულის მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

რ. წულაია



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N151

ქ. ხობი

2010 წლის 28 მაისი

„ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 29 მარტის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 29 მარტის N28 დადგენილების დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. გამგეობა

1. გამგეობა შედგება სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოებისგან.
2. გამგეობა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს კანონებისა და საკრებულოს გადაწყვეტილებების შესაბამისად ამ დებულებით და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული ორგანოს დებულებით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებების აღსრულებას.“;

ბ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გამგეობის ორგანოები და თანამდებობის პირები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ კანონიერების, საჯაროობის, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების, თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპების დაცვით.“;

გ) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. გამგეობის მუშაობის საერთო წესი

1. გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას კოორდინაციას და ორგანიზებას უწევს გამგებელი.
2. გამგეობის სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას წარმართავს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი.
3. გამგეობის ორგანოების და თანამდებობის პირების უფლებამოსილება განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, ამ დებულებით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული ორგანოს დებულებით და შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციებით.“;

დ) II თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი II.

გამგებელი და გამგებლის მოადგილე (მოადგილეები)

მუხლი 6. გამგებელი

1. გამგებელი არის ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირი, რომელიც უძღვება გამგეობის საქმიანობას.

2. გამგებელი თანამდებობაზე ინიშნება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, საკრებულოსგან თანხმობის მიღების შემთხვევაში.

3. გამგებლის თანამდებობაზე დანიშვნის და თანამდებობიდან გათავისუფლების პირობები და წესები, გამგებლის უფლებამოსილებანი და მათი განხორციელების წესები განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) და ამ დებულებით.

4. გამგებლის თანამდებობრივ სარგოს განსაზღვრავს საკრებულო.

მუხლი 7. გამგებლის უფლებამოსილებანი

გამგებელი:

ა) კოორდინაციას და ორგანიზებას უწევს გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას;

ბ) შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის (დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების და დამატებების) პროექტს საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად;

გ) შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს ადგილობრივი გადასახადების და ადგილობრივი მოსაკრებლების შემოდების, ცვლილებების და გაუქმების შესახებ წინადადებებს საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად;

დ) შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების თაობაზე, სამართლებრივი აქტების პროექტებს საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად;

ე) შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს თვითმმართველი ერთეულის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეუტანლად, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის თანხმობით მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების თაობაზე;

ვ) შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის და ამ მიზნით თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენის და შეცვლის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტებს საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად;

ზ) საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს გამგეობის დებულების, გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების დებულებების პროექტებს საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად;

თ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ინიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, გამგეობის სხვა თანამშრომლებს;

ი) ანაწილებს ფუნქციებს გამგეობის მოსამსახურეთა შორის. აძლევს დავალებებს სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს და ისმენს მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ;

კ) საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს ანგარიშს გამგეობის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ლ) საკრებულოს სამუშაო გეგმებიდან და სხდომების დღის წესრიგიდან გამომდინარე, კოორდინაციას უწევს შესაბამის საკითხთა მომზადებას; საკრებულოს თავმჯდომარეს

განსახილველად წარუდგენს გამგეობის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებს და რეკომენდაციებს; კოორდინაციას უწევს საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას;

მ) საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს გამგეობის მოსამსახურეთა წახალისების და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ნ) საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს და სამართლებრივი აქტების პროექტებს თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასთან და განკარგვასთან დაკავშირებით;

ო) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს სამართლებრივ აქტებს;

პ) ახორციელებს გამგეობის დებულებით და საკრებულოს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 8. გამგებლის დანიშვნა

1. გამგებელს საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს საკრებულოს თავმჯდომარე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. გამგებლის დანიშვნის წესი განისაზღვრება საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით).

3. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამგებლის თანამდებობაზე კანდიდატის წარდგენისას კანდიდატი უფლებამოსილია საკრებულოს სხდომას წარუდგინოს სამომავლო საქმიანობის ზოგადი პროგრამა.

4. საკრებულოსგან თანხმობის მიღების შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოსცემს ბრძანებას გამგებლის დანიშვნის თაობაზე.

მუხლი 9. გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლება

1. გამგებელს საკრებულოს თანხმობით თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.

2. გამგებლის გათავისუფლების საფუძველი შეიძლება გახდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევები ან გამგებლის საქმიანობის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ არადამაკმაყოფილებლად შეფასება.

3. გამგებლის გათავისუფლების წესი განისაზღვრება საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით).

4. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოს წინაშე შესაბამისი დასაბუთებული წინადადების წარდგენის შემდგომ გამგებელი უფლებამოსილია საკრებულოს სხდომას მოახსენოს საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

5. საკრებულოსგან თანხმობის მიღების შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოსცემს ბრძანებას გამგებლის გათავისუფლების თაობაზე.

6. გამგებლის არყოფნისას, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას, ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან გათავისუფლებისას გამგებლის მოვალეობას საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს გამგებლის მოადგილე.

მუხლი 10. გამგებლის მოადგილე (მოადგილეები)

1. გამგებლის მოადგილეს (მოადგილეებს) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე (თანამდებობებზე) ნიშნავს და თანამდებობიდან (თანამდებობებიდან) ათავისუფლებს გამგებელი.

2. გამგებლის მოადგილეების რაოდენობა განისაზღვრება გამგეობის საშტატო ნუსხით.

3. გამგებლის მოადგილე (მოადგილეები) ასრულებს (ასრულებენ) ამ დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებულ გამგებლის ცალკეულ უფლებამოსილებებს გამგებლის არ ყოფნისას ან გამგებლის დავალების საფუძველზე.

4. გამგებლის მოადგილე (მოადგილეები) თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად:

ა) ხელმძღვანელობს (ხელმძღვანელობენ) გამგეობის კომპეტენციას მიკუთვნებულ დარგებს;

ბ) ამზადებს (ამზადებენ) და გამგებელს წარუდგენს (წარუდგენენ) წინადადებებს და რეკომენდაციებს შესაბამის დარგებში გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით;

გ) ასრულებს (ასრულებენ) გამგებლის დავალებებს.“;

ე) მე-14 მუხლის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. დასახლებებში ქუჩებისა და მოედნების ნუმერაცია.“;

ვ) მე-17-24-ე მუხლებში და IV და V თავების სათაურებში სიტყვები „ტერიტორიული მართვის ორგანო“ შეიცვალოს სიტყვებით: „ტერიტორიული ორგანო“;

ზ) მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18. გამგეობის ტერიტორიული ორგანოები

1. გამგეობის ტერიტორიული ორგანოები იქმნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

2. ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება, ადმინისტრაციული საზღვრები, ადმინისტრაციული ცენტრი და მასში შემავალი დასახლებები განისაზღვრება საკრებულოს მიერ.

3. გამგეობის ტერიტორიული ორგანოების ფუნქციაა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მართვის ოპტიმიზაცია, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებების და გამგებლის დავალებათა შესრულების ორგანიზაციული უზრუნველყოფა; მოსახლეობასთან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კავშირის განმტკიცება და მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ორგანიზება.

4. ტერიტორიული ორგანოები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ მოქმედი კანონმდებლობის, ამ დებულების და გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულების საფუძველზე.

5. ტერიტორიული ორგანოების შემადგენლობა განისაზღვრება გამგეობის სამტატო ნუსხით, რომელსაც გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.“;

თ) მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გამგეობის რწმუნებული საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად თავის უფლებამოსილებას ახორციელებს თვითმმართველ ერთეულში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში.“;

ი) მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და გამგებლის დავალებების შესრულებას და გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას მათი მიმდინარეობის შესახებ;

დ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

ე) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს გამგეობის ტერიტორიული ორგანოს სამტატო ნუსხის შესახებ;“;

კ) მე-20 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გამგეობის სტრუქტურულ ერთეულებს და ტერიტორიულ ორგანოებში შემავალ თანამდებობათა დასახელება განისაზღვრება გამგეობის სამტატო ნუსხით, რომელსაც გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

3. გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების დებულებებით განსაზღვრულ სამუშაოთა აღწერილობის შესაბამისად მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობები განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციებით, რომელსაც გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.“;

2. დადგენილება ძალაში შევიდეს 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

რ. წულაია



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N152

ქ. ხოზი

2010 წლის 28 მაისი

„ხოზის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 25 ივნისის N122 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

